

სახართველოს სოც.



საბჭ. რესპუბლიკის

მუშათა და გლობა მთავრობის

## პანონია და განცარგულების პრეზიდი

იუსტიციის სასამართლოს კომისარის გამოცემა

1929 წ. სექტემბერის 23

№ 17

ნაწილი პირველი

### შ ი ნ ა რ ს ი:

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახალხო კომისართა ხაზების დადგენილებაზე.

183. საძოვების გამგეთა და საძოვების დარაჯთა განმასხვავებელი ნიმუშის დაწესების შესახებ.

184. სისხლის სამ. კოდ. დანართის სამხედრო დანაშაულთა დებულების 1-მუხლის მე-2 ნაწილის რეაქციის შეცვლის შესახებ.

185. სისხლის სამოთალის საპროცესო კოდექსის 1 მუხლის შენიშვნის დანართის 2, 3, 4, 5 და 9 მუხლების შეცვლისა და იმვე დანართის მე-15 მუხლის რეაქციის შეცვლის შესახებ.

186. „სამოქალაქო მდგრადი აქტების თაობაზე“ 28 ქ.ით გამოცემული საქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის დეკაეტისათვის 28 მუხლის დამატების შესახებ.

187. კერძი პრითა სასარგებლოდ შესრულებული ამა თუ იმ მუშაობის ხარჯების ასანაზღებელად სახალხო კომისარისტებისა და მათთვის გათნაბრძებულ დაუსტულებების ოფის განსაკუთრებულ გამოსალების შემოღებისა და გადახდევინების უფლების მიეცების შესახებ.

188. ქუთაისის საქალაქო საბჭოსათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ ხანძრისაგან დასარალებულ მოქალაქეთა მოსათვალებლად დამატებითი საცხოვრებელი სივრცის გამოსაყოფად მას შეცვლიან იხელმძღვანელოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 22 თარიღისა და 92 ქ.ის დადგენილება.

189. სისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატებით შესახებ.

190. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის დამტკიცებისა და ახალი აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური ერთეულების მოწყობის შესახებ.

### ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებაზე.

191. საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ახალი აღმინისტრაციულ-ტერიტორიალური დაყოფის განმახორციელებელი ცენტრალური კომისიისა და საორგო კომისიების დარსების შესახებ.

192. სახელმწიფო კრედიტისა და დაზოგის საქართველოს ხელისშემცირების კომისიების მიეცების შესახებ საქალაქო და სათემო საბჭოებთან და სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტთან.

193. შემოდგომის თესეის კამპანიის ჩატარებაში მოწყილეობის მისაღებად გაგზავნილი მუშაობის საწარმოში მუშაობისაგან განთავისუფლებისა და მათვის საშეალო-სამუშაო-ხელფასის შენახვის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი.

194. „საქართველოს მეტრინგელობის“ სახლწოდებით სრულად საქართველოს მეცნიერებებისა და მეცნიერებების კომისარის მოსაწყობად საორგანიზაციო ბიუროს დაარსების შესახებ.

## ცენტრალური აღმასრულებელი კომიციენტის და საჯალეო კომისართა საბჭოს დადგენილებანი

183. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ტ ი ს ტ . ა . ტ . დ ა ს . ტ . ს .

ხაძოვრების გამგეთა და ხაძოვრების დარაჯთა განმასხვავებელი ნიშნების დაწესების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომისარულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საძოვრების გამგეთა და ხაძოვრების დარაჯთა შემდეგი განმასხვავებელი ნიშნები:

ა) საძოვრების გამგეთათვეის: ხალათისა და ფარაჯის საყლოს კუთხებში ლურჯი—ფერი მაუდის წანაკერი ფრის ფორმისა; ამ წანაკერზე შუა ადგილას საში ექვსეუთხიანი ნაჭრი ლითონისა, წითელ მინანქარ გადაკრული და მოოქროვებულ რეალიანი. ამის ზევით ჯვარედინად დაწყობილი ბალახის კონები თეთრი ლითონისა;

ბ) საძოვრების დარაჯთათვეის: ხალათისა და ფარაჯის საყლოს კუთხებში ლურჯი—ფერი მაუდის წანაკერი ფარის ფორმისა; ამ წანაკერზე შუა ადგილას ერთი სამკუთხიანი ნაჭრი ლითონისა, წითელ მინანქარ გადაკრული და მოოქროვებულ რეალიანი; ამის ზევით ჯვარედინად დაწყობილი ბალახის კონები თეთრი ლითონისა; აგრეთვე ლითონის სამკერდე ნიშანი, მარჯვენა მეტრულზე სატარებელად, წითელი ფერისა და ოვალური ფორმისა; ამ ნიშანზე გამოხატულია: ზემოდ—საქართველოს სსრ სახელმწიფო ლებანი, და ამის ზევით წარწერაა „სსსრ შესე“, ხოლო ნიშნის შუა ადგილას წარწერაა „საბოვრების დარაჯი“. ამის ქვემოდ კი—ჯვარედინად დაწყობილი ბალახის კონები თეთრი ლითონისა.

2. დამტკიცებულ იქნეს ამისთანავე დართული, ზემოაღნიშნული განმასხევებელი ნიშნების გამოხატულებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომის-

რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე შ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური ომის-

რულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.



1929 წ. ივნისის 11.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „ქომუნისტი“-ს 184 №-ში 1929 წ. აგვისტოს 13.

ଲାତାଳାଟା.

ବାଦମୀରେଥିଲେ ଗାହିଗୁଣା ଓ ସାଦମୀରେଥିଲେ ଲାରୀଜୁଣା କାନଦିଲେଖାଫେରେଲୀ ନିଷିଦ୍ଧିବିଳି.



### 184. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ტ. ს. პ. ს. დ ა ს. პ. ს.

ხიხხლის სამ. კოდ. დანართის—სამხედრო დანაშაულთა დებულების 1 მუხ-  
ლის მე-2 ნაწილის რედაქციის შეცვლის შეხახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77  
№-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესისამებრ (კან. კრებ. 1924 წ. № 1, მუხ.  
7) და თანამდებობის სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სა-  
ხალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 30-ის დადგენილებისა „სამხედრო  
ტრობუნალისა და სამხედრო პროცესურის დებულების შეცვლისა და შესე-  
ბის შესახებ“ (სსრკ კან. კრებ. 1929 წ. № 13, მუხ. 106), სრულიად საქართვე-  
ლოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო  
კომისართა საბჭო იდგენენ:

სამხედრო დანაშაულთა დებულების (სისხ. სამ. კოდ. დანართი) 1 მუხ-  
ლის მეორე ნაწილი მიღებულ იქნება შემდეგი რედაქციით:

1 მუხ. მეორე ნაწილი. „სამხედრო დანაშაულად ჩაითვლება აგრეთვე სამ-  
ხედრო სამსახურის შესრულების წესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული,  
რასაც ჩაიდენს გზათა სახალხო კომისარიატის გზების დამცული გამხედრო-  
ბული რაზმისა და განსაკუთრებული სახელმწიფო მნიშვნელობის მქონე საწარ-  
მოთა და ნაგებობათა დამცველი გამხედრობული რაზმის შედგენილობის პირი“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალიბლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდიგარი ხ. თოდრია.

1929 წ. ივნისის 11.

ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომიტი“-ს 190 №-ში 1929 წ. აგვისტოს 20.

### 185. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ტ. ს. პ. ს. დ ა ს. პ. ს.

ხიხხლის სამართალის საპროცესო კოდექსის 1 მუხლის შენიშვნის დანართის  
2, 3, 4, 5 და 9 მუხლების შეცვლისა და იმავე დანართის მე-15 მუხლის რე-  
დაქციის შეცვლის შეხახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მეწვევის ცენტრალური აღმასრულე-  
ბელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ის თარიღისა და 77 №-ის დად-  
გენილების (კან. კრ. 1924 წ. 1 №-რი, მუხ. 7) მე-2 მუხლის წესისამებრ და თა-

**შენიშვნა 2.** სამხედრო ტრიბუნალის ქვემდებარე ისეთი დანაშაულის საქმეზე, რასაც ჩაიდენს მუშათა და გლეხთა წითელ არმიაში მასხური პირი და აგრძელებული რაზმისა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს და ნაგებობის დამცველი გამხედროებული რაზმის შედგენილობის პირი, უკეთ დანაშაული ჩადენილია არა იმ იდგილას, სადც სამხედრო ნაწილი (სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის დაწესებულება, საწარმო) ან დამცველი რაზმის ნაწილი (დაწესებულება) იმყოფება,—საქმის წინასწარ კვლევა-ძიებას, თუ ეს საჭირო იქნება, ვიდრე მოკვლევის სათანადო ორგანო საქმეში ჩაერევოდეს, აწარმოებს მოკვლევის საერთო ორგანო (სამხედრო ტრიბუნ. დებულების 20 მუ.).

მუხ. 3. „მოკვლევა არ შეიძლება ორ კვირაზე მეტ ხას გაგრძელდეს. განსაკუთრებულ შემთხვევებში, სათანადო სამხედრო პროკურორის ნებართვით, მოკვლევის ვადა შეიძლება განგრძობილ იქნეს ერთ თვემდე.

იმ შემთხვევაში, ორდესაც მოკვლევით გამოაშეარავდება ისეთი დანაშაული, რომლის წინასწარი გამოძიება საეალდებულოა, მოკვლევის ორგანო (მუხ. 2) შეასრულებს მხოლოდ იმ მოქმედებას, რაც საჭიროა საქმის დაუყოვნებლივ გამოსაკვლევად და რაც ხელს შეუშლის ექვმიტანილს თავი აარიდოს გამოძიებასა და სასამართლოს ან მოსპონს და დამალოს დანაშაულის კვალი; ამის შემდეგ აღნიშნული ორგანო მოკვლევას დაუყოვნებლივ გადასცემს გამომძიებელს (სამხ. ტრიბ. დებ. მუხ. 21.)“

მუხ. 4. „უკეთ მოკვლევაზე დანაშაულის ნიშნები ვერ აღმოაჩინა, მოკვლევის მოსპონს თვითი მოკვლევი ორგანო (მუხ. 2).

ყველა დანარჩენ შემთხვევაში მოკვლევის მასალა გაეგზავნება:

ა) სამხედრო ტრიბუნალის ქვემდებარე საქმეზე—იმ სამხედრო გამომძიებელს, რომლის უბანშიც მომკვლევი ორგანო განწესებული;

ბ) საერთო სასამართლოს ქვემდებარე საქმეზე—სათანადო მოკავშირე რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესისამებრ.

**შენიშვნა.** სამხედრო პროკურატურის ორგანოს და სამხედრო გამომძიებელს თავისი უბნის ფარგლებში უფლება აქვს გამოითხოვოს მოკვლევ ისრგაბოსაგან (მუხ. 2). იმ უკანასკნელის მიერ მოსპონბილი მოკვლევა და სათანადო წარმართოს ეს საქმე, უკეთ მასში დანაშაულის ნიშნები აღმოჩნდება (სამხ. ტრიბ. დებ. მუხ. 22)“.

მუხ. 5. „იმ პირის დატუსაღება, ვინც არ ეკუთხნის მუშათა და გლეხთა წითელი არმიისა, გზათა სახალხო კომისარიატის გზების დამცველი გამხედროებული რაზმისა და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მქონე საწარმოს და ნაგებობის დამცველი გამხედროებული რაზმის შედგენილობას, აგრძელებე ამ პირების გაჩერება და ამორკევა—მოხდება მოკვლევის საერთო ორგანოების მეშვეობით (სამხ. ტრიბ. დებ. მუხ. 23)“.

მუხ. 9. „სამხედრო გამომძიებლისათვის საგალდებულოა იმ სამხედრო პროკურორის წინადადებანი, რომელიც გამოძიებას მეთვალყურეობას უწევს (სამხ. ტრიბ. დებ. მუხ. 27)“.

## II

1-ლი მუხლის შენიშვნის დანართის მე-15 მუხლში სიტყვა „ფლოტი“ შეიცვალოს სიტყვებით „ზღვის საზღვაო ძალები“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური  
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკარა.

საქართველოს სსრ სახალხო კომი-  
სართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის მდივანი ს. თოლდრია.

1929 წ. ივნისის 11.  
ტფილისი—სასახლე.

---

### 186. დ ა დ გ თ ხ ი ლ ე ბ ა ც. ა. პ. დ ა ს. პ. ს.

„ხამოქალაქი მდგომარეობის აქტების თაბაზე“ 28 ქ-ით გამოცემული სა-  
ქართველოს სსრ რევოლუციონური კომიტეტის დეკრეტისათვის 143<sup>9</sup> მუხ-  
ლის დამატების შესახებ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სა-  
ქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

„მუხ. 143<sup>9</sup>. იმისათვის, რათა საბჭოთა მოქალაქის შვილი იშვილის სა-  
ქართველოს სსრ ტერიტორიტორიაზე მცხოვრებმა იმ უცხოელმა, ვინც მუშათა  
კლასს ან ისეთ გლეხობას ეკუთვნის, რომელიც სხვის შრომას არ იყენებს, სა-  
ჭიროა თვითეულ ცალკე შემთხვევაში სპეციალური ნებართვის მიღება სამაზრო  
აღმასრულებელი კომიტეტისაგან შვილად ასაყვანის საცხოვრებელი ადგილის  
მიხედვით, ხოლო იმ უცხოელისათვის, რომელიც მშრომელთა აღნიშნულ კატე-  
გორიებს არ ეკუთვნის, საჭირო ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის  
ნებართვის მიღება“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ს. თოლდრია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის მდივანის მაგიერ ცუცქირიძე.

1929 წ. აგვისტოს 7.  
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტის“ 201 ქ-ში 1929 წ. სექტემბრის 1.

---



187. ၁၅၈၃၂၆၀၃၇၈၁ ဂ.ၢ.ၢ. ၄၅ ၬ.ၢ.ၢ.

ეკრძო პირთა სასარგებლოდ შესრულებული ამა თუ იმ მუშაობის ხარჯების ასანაზღაურებლად სახალხო ქომისარიის და მათთან გათანაბრებულ დაწესებულებებისათვის განსაკუთრებული გამოხსალების შემოღებისა და გადახდევინების უფლების მიცემის შესახებ.

სრულიდად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო იღენერა:

1. უფლება მიეცეს სახალხო კომისარიატებსა და მათთან გათანაბრძებულ დაწესებულებებს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, შემოილონ ასევე შეთანხმებით დაზრუცებული ნის ჩით გადასახლევინებელი განსაკუთრებული გამოსალებით რესპუბლიკანურ ბიუჯეტზე მყოფ სახელმწიფო დაწესებულებათა ხარჯების ასანაზღაურებლად მთ მიერ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირების სასარგებლოდ შესრულებული ისეთი მუშაობისათვის (მომსახურეობა, მოქმედება და სხვ.), რის უსასყიდლოდ შესრულებაც ამ დაწესებულებებს დავა-ლებული არა აქვთ მათი დებულებით.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული გამოსაღების გადახდევინებით შესული თანხები ჩაიტკება ხაზინის შემოსავლიდ სათანადო კოშისარიის ან მასთან გათანაბრებული დაწესებულების ხარჯთაორიცხვით.

3. მიენდოს აუხავეთის სსრ-ისა, აქარისტანის ავტონომიური სსრ-ისა და ხაშხეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ ანალოგიური დაცვითი ინიციატივა.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თამჯდომარის მაციერ ხ. თოლია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა  
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. შეალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმის-  
რულებელი კომიტეტის მდგრანის მაგისტრ ცუცქინიძე

1929 අගුරුද්‍රවාස 7.  
උගුරුද්‍රවාස—සාසාජ්‍ය.

გამოქვეყნებულია გან. „კომუნისტი“-ს 200 №-ში 1929 წ. აგვისტოს 31-ს.

### 188. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც . ა . ქ . დ ა ს . ქ . ს .

ქუთაისის საქალაქო საბჭოსათვის იმ უფლების მინიჭების შეხახებ, რომ ხანძრისაგან დაზარალებულ მოქალაქეთა მოხათვებებლად დამატებითი ხაცხოვ-ჩებელი სივრცის გამოხაყოფად მას შეუძლიან იხლებდენ სრულდად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სხრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 22 თარიღისათვის და 92 №-ის დადგენილება.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

ნება დაერთოს ქუთაისის საქალაქო საბჭოს—გამოპყოს კანონით დაწესებული ნორმის ზედმეტი საცხოვრებელი სივრცე, იმ ასი ოთახის გარდა, რაც გათვალისწინებულია სრულიად საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ნოემბრის 22 თარიღისათვის და 92 №-ის დადგენილებით (საქართველოს სსრ კან. კრ. 1929 წ. 1-ლი №-რი, მუხლი 3), კიდევ ასორმოცდათი ოთახის რაოდენობით—აღნიშნული დადგენილებით გათვალისწინებული წესისამებრ.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ს. თოლდრია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გ. მგალობლივილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-

ლებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ ცუცქირიძე.

1929 წ. აგვისტოს 7.

ტყილის-სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კომუნისტი“-ს 200 №-ში 1929 წ. აგვისტოს 31.

### 189. დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა ც . ა . ქ . დ ა ს . ქ . ს .

ხისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლისათვის მე-2 ნაწილის დამატების შეხახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა მე-11 მოწვევის ცენტრალური აღმასრუ-ლებელი კომიტეტის მე-2 სესიის 1924 წ. მარტის 10-ს თარიღისა და 77 №-ის დადგენილების მე-2 მუხლის წესით (კან. კრ. 1924 წ. № 1, მუხ. 7) სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღვენენ:

ხისხლის სამართლის კოდექსის 137 მუხლს დაემატოს მე-2 ნაწილი შემ-დეგი შინაარსისა:

„მუხ. 137, ნაწ. 2. იგივე ქმედობა, უკეთუ იგი გამოიხატა სასოფლო-სამეცნიერო პროდუქტების კონტრატულის ხელშექრულებიდან გამომდინარე ვალ-დებულების შეუსრულებლობაში,

იძულებით მუბაობას ექვს თვემდე ან ჯარიმას სამას მანეთამდე.“

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ს. თოდრია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. მგალობლიველი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრუ-  
ლებელი კომიტეტის მდინარე მაგიერ ცუცქირიძე.

1929 წ. აგვისტოს 7.

ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია გაზ. „კუმუნისტი“-ს 200 №-ში 1929 წ. აგვისტოს 31.

## 190. დ ა დ გ ვ ნ ი ლ ე ბ ა ტ. ა. ქ. დ ა ს. ქ. ს.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის დამტკიცებისა და ახალი აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულების მოწყობის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ-ის ახალი აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის შესახებ 1929 წლის ივნისის 11-ის თარიღით გამოიცემული (საქართველოს სსრ კან. კრებ. 1929 წ. მე-16 №-რი, მუხ. 168) დადგენილების დასამატებლად—სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო აღდგნენ:

1. დამტკიცებულ იქნეს საქართველოს სსრ აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფა ამ დადგენილებასთან დართული განრიგების თანახმად (დანართი № 1).

2. დაწყებულ იქნეს განრიგებაში აღნიშნული აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური ერთეულებისა და ხელისუფლების სათანადო ადგილობრივი ორგანოების მოწყობა.

3. წინადადება მიეცეს აქარისტანის აეტონომიურ სსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ახალი აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის განმახორციელებელ თბილისისა, ქახეთისა, გორისა და ქუთაისის კომისიებს და აგრეთვე ახალციხისა, ახალქალაქისა, ოზურგეთისა, სენაკისა და ზუგდიდის სამაზრი აღმასრულებელ კომიტეტს დანიშნონ ახალი აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური დაყოფის ჩატარებისათვის სარაიონო რწმუნებულნი, რომელიც განახორციელებდნ ადგილობრივ საბჭო საორგანიზაციო ღონისძიებებს და ხელ-

მდლვანელობას გაუწევენ ახალი დარაიონების მიზნებისა და მნიშვნელობის თაობაზე ახსნა-განმარტების კამპანიის ჩატარების საქმეს.

4. საბჭოთა ორჩევნებამდე დადგენილ იქნეს შემდეგი წესი ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მოწყობისა.

### ა. სასოფლო საბჭოების მოწყობა.

ა) უკეთუ თემის ტერიტორიაზე შეესაბამება მოსაწყობი სასოფლო საბჭოს ტერიტორიას, სათემო საბჭო გარდაიქმნება სასოფლო საბჭოდ, თანაც, ამ შემთხვევაში, სათემო საბჭოს ყველა წევრი შედის ახლად მოსაწყობი სასოფლო საბჭოს შედგენილობაში მისი წევრის სახით;

ბ) უკეთუ თემის ტერიტორიაზე მოქმედობდა ერთი ან რამდენიმე სასოფლო საბჭო, რომელიც მოწყობილი იყო საქართველოს სსრ ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) 64 მუხლის 1-ლი შენიშვნის თანახმად, ასეთი სასოფლო საბჭოები გაუქმდებულ უნდა იქნეს და მათი წევრები შევლენ ახლად მოსაწყობი სასოფლო საბჭოს შედგენილობაში;

გ) უკეთუ თემის ტერიტორიაზე მოეწყობა ორი ან რამდენიმე სასოფლო საბჭო, თვითოული ამ სასოფლო საბჭოთაგან მოეწყობა გასაუქმებელი სათემო საბჭოს წევრებისაგან მათი არჩევის ტერიტორიალური ნიშნის მიხედვით;

დ) ახლად მოწყობილი სასოფლო საბჭო აირჩევს პრეზიდიუმს სამი წევრისა და ორი მათი კანდიდატის შედგენილობით.

### ბ. ხელისუფლების სარგანოების მოწყობა.

ა) სარაიონო საბჭოთა ყრილობა მოეწყობა სასოფლო საბჭოების მიერ არჩეული დელეგატებისაგან იმ ვარიუდით, რომ ერთი დელეგატი მოდიოდეს 300 მცხოვრებზე;

ბ) სარაიონო საბჭოთა ყრილობა აირჩევს სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტს წევრთა რიცხვით 17-დან 25-მდე, ხოლო მათი კანდიდატების რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს წევრთა რიცხვის ერთ მესამედს;

გ) სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი აირჩევს პრეზიდიუმს წევრთა რიცხვით 5-დან 7-მდე და სამ კანდიდატს.

### გ. ხელისუფლების საოლქო ორგანოების მოწყობა.

ა) ახლად მოსაწყობ ოლქებში საბჭოთა საოლქო ყრილობები არ მოიწვევა;

ბ) გორისა და კახეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები და მათი პრეზიდიუმები გარდაიქმნებიან საოლქო აღმასრულებელ კომიტეტებად და მათ პრეზიდიუმებად;

გ) თბილისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი მოეწყობა თბილისისა და ბორიჩოს სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისაგან;

დ) ქუთაისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი მოეწყობა ქუთაისის, შორაპნის და რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების წევრებისაგან;

ე) თბილისის და ქუთაისის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტები აირჩიე-  
ვენ პრეზიდიუმებს წევრთა რიცხვით არა უმეტეს 21 კაცისა და არა უმეტეს  
მათი 7 კანცილატისა.

5. წინადადება მიეცეს სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს მოწვიონ  
სარაიონო საბჭოთა ყრილობები არა უგვიანეს 1929 წ. სექტემბრის 15-სა.

თბილისისა და ქუთაისის საოლქო აღმასრულებელ კომიტეტების პლენუ-  
რუმები მოწვეულ იქნეს არა უგვიანეს 1929 წლის სექტემბრის 1-სა.

6. გორისა და კახეთის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს 1929 წ. ოქ-  
ტომბრის 1-დან ეწოდოს გორისა და კახეთის ოლქის აღმასრულებელი კომი-  
ტეტები.

7. წინადადება მიეცეს სათანადო ორგანოებს დაამტკიცონ სარაიონო აღ-  
მასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების შტატები და ჯამაგირები  
ამა დადგენილებასთან დართული ტიბიური შტატების თანახმად (დანართი  
№№ 2 და 3).

საოლქო აღმასრულებელი კომიტეტების შტატები და ჯამაგირები დამ-  
ტკიცებულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი საერთო წესისამებრ.

. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-  
რულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ს. თოდრია.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგ. გ. მგალობლიშვილი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმას-

რულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ დ. ქუჩიულურია.

1929 წ. აგვისტოს 23.

ტფილისი-სასახლე.

დანართი 1.

## გ ა ნ ა რ თ ი გ მ ბ ა

საქართველოს სოც. ხაბჭ. რესპუბლიკის აღმინისტრატიულ-ტერიტორიალური  
დაცულფისა.

### 1. ტ ა ხ ე თ ი ს ო ლ გ ი.

(ცენტრი დაბა გურჯაანი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. თელავის (ცენტრი ქ. თელავი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოე-  
ბი: თელავის, წინადალის, აკურის, ზემო-ხოდაშენის, იყალთოს, ქისტაურის,  
ფშაველის, ნაფარეულის, ახმეტის, მატანის, ზემო-ალეანის, ჯოულას და მთა-  
თუშეთის.

2. გურჯაანის (ცენტრი დაბა გურჯაანი), რომელშიაც შედის სასოფლო  
საბჭოები: გურჯაანის, ბაკურ-ციხის, ველისციხის, ახაშენის, კარლენახის, ყანდა-  
ურის, ბოგდანოვკის, ჭერემის, არაშენდას, იორ-შელანლოს და შაშიანის.

**3. ყვარელის** (ცენტრი ს. ყვარელი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ყვარელის, შილდის, ენისელის, ახალ-სოფლის, ხაშალხურის და ახალ-გავაჩის.

**4. ლაგოდეხის** (ცენტრი დაბა ლაგოდეხი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლაგოდეხის, მიხაილოვის, ყარსუბნის, ვარდის-უბნის, ბაისუბნის, ქაბალის, აფენის და ლელიანის.

**5. სიღნაღმის** (ცენტრი ქ. სიღნაღმი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: სიღნაღმის, ნუქრიანის, ბოდბისხევის, მაღაროს, ულიანოვეკის, ბოდბის, საქობოს, ანაგის ვაქირის, ჯუგაანის, ტიბაანის, ძველ-ანაგის, მირზაანის, არბოშიერის, ზემო-მაჩხაანის, ქვემო-მაჩხაანის, წითელ-წყაროს, ზემო-ქედის და წითელ საბათლოს.

## 2. ტ ც ი ლ ი ს ი ს ლ ა რ ი.

(ცენტრი ქ. ტცილისი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

**1. ტცილისის** (ცენტრი ქ. ტცილისი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: დილომის, ავჭალის, ლილოს, მარტყოფის, წყნეთის, კოჯორის, ალთალლის, ყარაიას, კოდის და ოლევთის.

**2. ვარეკახეთის** (ცენტრი დაბა სავარეჯო), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: სავარეჯოს, მანგის, კაქაბეთის, მალხაზოვის, პატარძეულის, სართიშიალის, ხაშმის, ბოკორმის და გომბორის.

**3. ერწო-თიანეთის** (ცენტრი დაბა თიანეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ქვემო-თიანეთის, ზემო-თიანეთის, არტაანის, საყარაოლოს და ერწოს.

**4. მცხეთის** (ცენტრი დაბა მცხეთა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: მცხეთის, ნატახტარის, მუხრანის, საგურამოს და ძეგვის.

**5. დუშეთის** (ცენტრი ქ. დუშეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: დუშეთის, ბაზალეთის, გრემისხევის, მჭადისჯვრის, კოპორტის, უნივალის, ანანურის, ფასანაურის, გუდამაყარის, მლეთის, მაღაროს-კარის, უკანა-ფშავის ბარისახოს, ბაცალიგოს, არხოტის და შატილის.

**6. ხევის** (ცენტრი დაბა ყაზბეგი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ყაზბეგის, ახალციხის, კობის და თრუსოს.

**7. მანგლისის** (ცენტრი დაბა მანგლისი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: მანგლისის, პრიუტის და შეხევტილის.

**8. წალკის** (ცენტრი ს. გუნია-ყალა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ზემო წალკის, ქომურის, ქვემო-წალკის, როზენბერგის, ბეჭთაშენის, არჯვან-სარვანის და ქლდეისის.

**9. თეთრი-წყაროს** (ცენტრი დაბა თეთრი წყარო—ალბულახი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: თეთრი წალკის, ირაგის, დუმანისის, ასურეთის, ბოგვის და წინ-წყაროს.

**10.** ბაშეიჩეთის (ცენტრი დაბა ბიშეიჩეთი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ბაშეიჩეთის, გომარეთის, დემურ-ბულახის, ყარაბულახის, ამალოს, დმინისის და კოშკათალის.

**11.** ლიუქსემბურგის (ცენტრი ქ. ლიუქსემბურგი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლიუქსემბურგის, ქვეშის, ბოლნის-ხაჩინის, ბოლნის-ყაფანახის და იმირ-ასანის.

**12.** ბორჯომის (ცენტრი სოფ. სარგანი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: სარგანის, დემურჩი-ჰასანლის, გიაურ-არხის, ბაიდარის, ტრაუბენბერგის, აშალა-სარალის, ქაჩაგანის, ხოვირნიას, საღახლოს, ოფრეთის, სარაჩლოს და შაუმიანის.

### 3. გორის ოლქი.

(ცენტრი ქ. გორი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

**1.** ბორჯომის (ცენტრი ქ. ბორჯომი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ბორჯომის, დვირის, ახალდაბის, წალევრის, გუჯარეთის, ბაკურიანის და ციხის-ჯვარის.

**2.** ხაშურის (ცენტრი ქ. ხაშური), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ხაშურის, ლუდის, ქვიშეთის, სურამის, ალის, საციხეურის, გომის, ხცისის, ავლევის, ზღუდერის და გვერძინების.

**3.** გორის (ცენტრი ქ. გორი), რომელშიაც შედის სასოფლო, საბჭოები: გორის, ხელოუბნის, სკრის, ატენის, ახალსოფლის, ბობნევის, რეხის, მეჯვრის-ხევის, ტყევავის, დიცის, რივისის, შინდისის, ღირბის და ქარელის.

**4.** კასპის (ცენტრი სოფ. კასპი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: კასპის, ქვემო-ჰალის, გოსტიბეს, ლამისყანის, წითელ-ჰალაქის, მეტეხის, ხოვლეს და კავთისხევის.

### 4. ჩუთა-ისის ოლქი.

(ცენტრი ქ. ქუთაისი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

**1.** ხამტრედის (ცენტრი ქ. სამტრედია), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: აბაშის, საჯავახოს, ოფეთის, გომის, ბაშის, დილიჯიხაიშის, იანეთის, ეწერის, კულაშის და ლანირის.

**2.** ვანის (ცენტრი დ. ვანი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ტობანიერის, საპაიჭაოს, დვალიშვილების, ვანის, ამალების, უხუთის, საპრასია-რომანეთის და გორას.

**3.** ბაღდათის (ცენტრი დ. ბაღდათი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: როხის, წითელ-ხვის, ბაღდათის, ზეგანის, საკრეულის, ზეგარის, ხანის და ობის.

4. ქუთაისის (ცენტრი ქ. ქუთაისი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ნამახვანის, ოფერჩეთის, რიონის, წყალტუბოს, მალაკის, ქეირისის, ფარცხანაყანევის, მუხიანის, პატრიკეთის, საყულის, გოლოგანის, კოგნარის და ნახშირ-ლელებს.

5. ხონის (ცენტრი ქ. ხონი), რომელშიაც შედის სასოფლო-საბჭოები: ქურისი, გუბის, კუბის, ნახასულევის, ცხუნჯურის, გორდის, კინჩხის, გოჩა-ჯიხისიშის და ქ. ხონის.

6. ოქიძის (ცენტრი საღვ. ოქიძი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: დღნორისის, გურნის, მანდიკორის, კურსების, ოქიძის, ხრესილის, საწირეს და ტყიბულის.

7. ზესტაფონის (ცენტრი ქ. ზესტაფონი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: საქარის, ქვედა-საზანის, დილიკაურის, ბოსლევის, შროშის, ძირულის, შორაპნის, ქლიფეთის, სვირის, როდინოულის და ქ. ზესტაფონის.

8. ჩხარის (ცენტრი დაბა ჩხარი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ჩხარის, თერჯოლის, ზედა-საზანის, თუშის, თავასის, მუხურის, ქვედა-სიმონეთის და ზედა-სიმონეთის.

9. ხორაგოულის (ცენტრი დაბა ხორაგოული), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლაშე-ლევრების, კიცის, ლელვან-მარელისის, ხორაგოულის, ბორითის, ხუნევის, მოლითის და წიფას.

10. ჭიათურის (ცენტრი ქ. ჭიათურა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: კაცის, ქვაცისის, ხრეითის, რგანის, წირქვალის, პერევისას, მერევის და ჩხილოულის.

11. საჩხერის (ცენტრი დაბა საჩხერე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: საჩხერის, ცხომარეთის, ჭალის, ქორეთის, არგვეთის, კორბოულის, ჩონთოს და ლიჩის.

12. ონის (ცენტრი ქ. ონი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლების, ჭიორის გლოლის, ნაკეთის, ონის, საკაოს, წერდისის, უაშქვის, ცხმირის, ზეარეთის, შემერის, სორის, ბარის, ფარახეთის, ბრავოლძალის, უწერის და ქ. ონის.

13. ამბროლაურის (ცენტრი დაბა ამბროლაური), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ურავის, ლიხეთის, წესის, სამთისის, ამბროლაურის, სხვავის, ზნაკვის, ნიკორწმინდის, ჭელიალელის, ველევის, საღმელის, კრიბის, შრომის, თლელის, წეარისის და კანეთის.

14. ჭრებალოს (ცენტრი დაბა ჭრებალო), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ალბანის, ჭყვიშის, ცაბის, ღადიშის, პატარა ონის, ნამანევის, ბუგეულის, ხვანჭარის, ტვიშის, მექვენის, ჭრებალოს, ლვარდისის, ბარეულის და ხონჭორის.

15. ცაგერის (ცენტრი ქალ. ცაგერი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ცაგერის, წიფერის, ოყურეშის, ლაძვერიის, ზუბის, ღვირიშის, ღებვირის, ორბელის, ნაკურალეშის და ლაილაშის.

16. ჭვემო-ხვანეთის (ცენტრი სოჭ. ჭველიერი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ლენტეხის, ჩოლურის და ლაშეთის.

## 5. ახალ გალაზის მაზრა.

(ცენტრი ქ. ახალქალაქი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. ახალქალაქის (ცენტრი—ქ. ახალქალაქი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ახალქალაქის, არაგვის, ქილდის, ქარწახის, ხავეთის, ხერთვისის, ოქამის, ხიზაბაგრის, ალასტანის, ბარალეთის, კოჩის, კულიკამის, ბურნაშეთის, გოგაშენის და სულდის.

2. გარელოეს (ცენტრი დაბა გარელოე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ხაჯაბეგის, გარელოეს, თავთარავანის, განძის, სათხის, ეშტის და კონდურის.

## 6. ახალ ციხის მაზრა.

(ცენტრი ქ. ახალციხე)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. ახალციხის (ცენტრი ქ. ახალციხე), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ვალეს, ახალციხის, ურაველის და აწყურის.

2. ბენარის (ცენტრი სოფ. ბენარი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: უდეს, აღიგონის, გარხანის და ქელას.

3. ტოლოშის (ცენტრი ს. ტოლოში), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ასპინძის, ზეელის, ტოლოშის, შილოშეთის და ნიალა-ლეპისის.

## 7. სენაკის მაზრა.

(ცენტრი ქ. სენაკი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. სენაკის (ცენტრი ქ. სენაკი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: თევლათის, ქვედა-თევლათის, ქვემო-ჭალადიდის, ზემო-ჭალადიდის, ხორშის, ზანის, ნოსირის, ძეველ-სენაკის, ეჭის, გეჯეთის, ნოქალაქევის, უშაფათის, ფოცხოს, ლებიძამეს და ქ. სენაკის.

2. ახაშის (ცენტრი დაბა აბაშა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ახალ-აბაშის, ძეველ-აბაშის, სუჯუნის, გულეიკარ-კეთილარის, ნაესაკოს, მარანის, ქოლობნის, გეზათ გულეხეთის, სამიქაოს, სეფიეთის, ონტოფოს და წყემის.

3. ბართვილის (ცენტრი დაბა ბართვილი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ბართვილის, ნაგვაზაოს, ჯოლო-ბეღათის, ხუთ-სოფლის (ნახუნოოს), გაგედილის, ხუწას, სალხინის, კურზეს, კიშიის, დიღი-ჭურნის, თამაჯონის, ბანდის და ლეხაინდრაო-ონოლის.



### 8. ჰუგდიდის მაზრა.

(ცენტრი ქ. ჰუგდიდი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

1. ჰუგდიდის (ცენტრი ქ. ზუგდიდი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ანაკლიის, დარჩელის, კოკის, კახათის, ოქტომბრის (კაიშის-კაბათის), დიდი-წერის, ორულე-ერგეთის, ცაიშის, ზუგდიდის, ნიკოსიის, ტყაია-ბეგას-ლალის, კორცხელის, ყულისკარის, ქაქვინჯის, ჯიხაიშ-კარის, აბასთუმანის და ქ. ზუგდიდის.

2. ხობის (ცენტრი დაბა ხობი), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ახალ-ხორგის, ხორგის, ხობის, ხეთის, ნოჯიხევის, ქვალონის, ხიბულის და საჯიჯაოს.

3. წალენჯიხის (ცენტრი დაბა წალენჯიხა), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ობუჯის, წალენჯიხის, ჯგალის, საჩინოს, ლიის, ჯვარის, ფახულანის და ჭალეს.

4. ჩხორო-წყუბის (ცენტრი ს. ჩხორო-წყუ), რომელშიაც შედის სასოფლო საბჭოები: ჩხორო-წყუს, ახუთის, კოღას, ნაფიჩოუს, მუხურის, ხაბუმეს, ლესიჭონების და კირცხის.

### 9. ლაზრიშვილის მაზრა.

(ცენტრი ქ. ლაზრგეთი)

შეიცავს შემდეგ რაიონებს:

